

მთავრობა თვითმმართველობის ახალ კოდექსზე მუშაობს

პრემიერ-მინისტრის რანგში ბიძინა ივანიშვილი გუშინ მთავრობის კანცელარიაში მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომას გაუძღვა. მან მინისტრებს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები მიულოცა და აღნიშნა, რომ ახალი პრემიერის ხელმძღვანელობით მთავრობის საქმიანობა უფრო ეფექტიანი იქნება.

სხდომაზე მთავრობამ სხვადასხვა სამინისტროების მიერ მომზადებული პროექტების პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის სახით ინიცირების გადაწყვეტილება მიიღო.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ კანონის ახალი პროექტი წარმოადგინა. როგორც მინისტრი ამბობს, მასში მრავალი რეფორმა გათვალისწინებულია, რომლებიც, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, დევნილთა უფლებების დაცვას ითვალისწინებს.

დარახველიძე ასევე ყურადღებას ამახვილებს ინიციატივაზე, რომლის თანახმად, დევნილთა შემწეობა 45 ლარამდე გაიზარდება. მინისტრი აზუსტებს, რომ აქამდე კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილები 22

ლარს, ხოლო კერძო სექტორში - 28 ლარს იღებდნენ. როგორც დარახველიძე ამბობს, 45 ლარის აღებას ის დევნილები შეძლებენ, რომლებიც ხელახალ რეგისტრაციას გაივლიან და მათი თვითდასაბუგარი შემოსავალი 1250 ლარზე ნაკლებს შეადგენს. ის პირები კი, რომელთა შემოსავალიც 1250 ლარზე მეტია, შემწეობას არ მიიღებენ, თუმცა შეზღუდვა მათი ოჯახის წევრებზე არ გავრცელდება.

დავით დარახველიძის თქმით, ამ ცვლილების ძალაში შესვლის საკითხი ბიუჯეტის პროექტის მიღების დროს განიხილება.

ბაზრძილაძე
მ-3 გვირგვინი

ინაუბურაციაზე ყოფილი პრეზიდენტის მიწვევის საკითხი განიხილება

გუშინ მთავრობის სხდომის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის მოსამზადებელი სამუშაოების საკითხზე შექმნილმა სამთავრობო კომისიამ პირველი სხდომა გამართა.

კომისიას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო მოადგილე საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეა, რომელიც კომისიის პირველ სხდომას უძღვებოდა. კომისიის შემადგენლობაში ასევე არიან: ფინანსთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ

საქმეთა, რეგიონული განვითარების მინისტრების პირველი მოადგილეები.

გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია 17 ნოემბერს ჩატარდება. როგორც ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აღნიშნავს, პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯები მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაიფარება, რადგან, მინისტრის ინფორმაციით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში თანხები აღარ არის.

ნოდარ ხადურს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი გამოეხმაურა. პრეზიდენტის ფონდიდან ახალმა მთავრობამ მხოლოდ 14 პროცენტი

დატოვა. ძალიან მაინტერესებს, როცა მთავრობას ენაწება ფული იმისთვის, რომ დამოუკიდებლობის დღეზე ალღუმი ჩაატაროს, რატომ არ ენაწება ეს ფული დღეს და რას აპირებს ამისთანას ინაუგურაციის აღსანიშნავად, რომ ფული გაუჭირდა,“ - ამბობს ბარნოვი.

სამთავრობო კომისიის სხდომის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციის მხატვრულ მხარეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი უხელმძღვანელებს.

ბაზრძილაძე
მ-3 გვირგვინი

ყოფა მანუელ ბაროზი: სააკაშვილის პრეზიდენტობისას საქართველომ

შესანიშნავ პროგრესს მიაღწია

საქართველოს პრეზიდენტი, თბილისის მერთან ერთად, ევროპაში იმყოფება და მაღალი დონის შეხვედრებს მართავს.

მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუს შეხვდა.



ბაზრძილაძე
მ-6 გვირგვინი

ამერიკის დაზვერვის „მნარა“ აღიარება კონგრესში

ივა შილაკაძე

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში მოსმენები დაიწყო, რომლის დროსაც სპეცსამსახურების ხელმძღვანელები კანონმდებლებს აბარებენ ანგარიშს ევროპელი მოკავშირეების მიმართ ჯაშუშობისა და ამერიკის მოქალაქეების მონაცემების უკანონო შეგროვების საკითხზე.



კეიტ ალექსანდერი და კეიმს კლევერი

ბაზრძილაძე
მ-4 გვირგვინი

1 აშშ დოლარი	1.6643\$
1 ევრო	2.2110\$
1 ინგლისური გირვანკა	2.5933\$
1 თურქული ლირა	0.8622\$
100 რუსული რუბლი	5.0433\$

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

ქართველი ძალოსნები დოვინგ შარში გახვიდნენ

ბრიგოლ ხოშტარია



საქართველოს ძალოსანთა ნაკრების ის წევრები, რომლებიც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მედლების მოპოვების კანდიდატებად ითვლებიან, ამ მხრივ თავიც გამოუჩინა და რომლებსაც ასევე რიოს ოლიმპიურ თამაშებზე წასვლის რეალური შესაძლებლობა აქვთ, დოვინგ სკანდალში გაეხვიდნენ. საქართველოს ძალოსანთა ნაკრების ირგვლივ ატეხილ აუიოტაუს ტირანას წლებანდელ ევროპის ჩემპიონატთან მივყავართ, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინათ, ვროცლავის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გახმაურდა.

ბაზრძილაძე
მ-8 გვირგვინი

Come Together ავიბაი კონთან ერთად

თბილისის ჭაფეხტივალს ნატალი კოლის კონცერტი დახურავს

ივა შილაკაძე

11 თვის აღმამ ჯერ არც სიარული იცის, არც ლაპარაკი, ისიც კი არ იცის, რა ჰქვია ან ვინ არის. იცის მხოლოდ ის, რომ როდესაც მამას რეპეტიცია აქვს, ჩუმად უნდა იყოს, ფეხებთან მოუცუტედე და კონტრბასის ყრუ აკორდებს განაზღვრულ უსმინოს. აღმას მამა ავიბაი კონია, ებრაელი ჯაზმუსიკოსი, რომელსაც თბილისის ჯაზფესტივალის ფარგლებში მოუწესმინეთ და ალბათ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო კონცერტი, რაც ჯაზფესტივალის ისტორიაში «ისტერნ პრომოუშენს» შემოუთავაზებია - ჯაზისა და სიმებიანი კვარტეტის სინთეზი საკმაოდ საინტერესო სიახლე აღმოჩნდა.



ბაზრძილაძე
მ-5 გვირგვინი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს რადიო

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9|771987|912100|>

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებებს მიხეილ სააკაშვილმა ვეტო დაადო

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, - ამის შესახებ პარლამენტის გუშინდელი პლენარული სხდომის დაწყებისას პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა.

პარლამენტის თავმჯდომარის ცნობით, პრეზიდენტის შენიშვნებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დღეს ან ხვალ განიხილავს და ვეტოს დაძლევის საკითხი პარასკევის სესიაზე გავა.

საუბარია კანონპროექტზე, რომელში შეტანილი ცვლილებებიც, თავის მხრივ, პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ასამოქმედებელ საკონსტიტუციო ნორმებს ეხება.

საკანონმდებლო ინიციატივა ყოფილი სახელი-სუფლებლო გუნდის კრიტიკის საგანს წარმოადგენდა. კერძოდ, უმცირესობისთვის მიუღებელია, რომ მოსამართლეები უვალოდ დანიშნავენ 3-წლიან გამოსაცდელ ვადას გაივლიან. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 3 წლით დანიშნულ მოსამართლეს მონიტორინგი უნდა ჩაუტაროს და ამ მონიტორინგის შემდეგ ხდება შესაძლებელი მათი უვალოდ განიშვნა.

აღნიშნული ნორმა, რომელიც კანონში ჩანერამდე, 2010 წელს კონსტიტუციაში აისახა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც გააპროტესტა.

ამავე ცვლილებების თანახმად, იზრდება მოსამართლედ დანიშვნის მინიმალური ასაკი - ნაცვლად 28 წლისა, 30 წლით იქნება განსაზღვრული.

„ვიკილიქსი“ - თბილისი იმ ქალაქებს შორის არის, საიდანაც აშშ მოსმენებს ახორციელებდა

თბილისი იმ ქალაქებს შორის არის, საიდანაც აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტო ტექნიკური სისტემების გამოყენებით მოსმენებს ახორციელებდა, - ინფორმაცია ამის შესახებ ინტერნეტპორტალმა „ვიკილიქსმა“ „ტივტიერის“ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

ამასთან, „ვიკილიქსმა“ გაავრცელა მსოფლიო ქალაქების რუკა, სადაც აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტოს მოსმენების პუნქტებია აღნიშნული.

რუკაზე ხუთი ფერით - ნითელი, ყვითელი, მწვანე, თეთრი და ნაცრისფერი - აღნიშნულია ამერიკელი სპეცსამსახურების ქმედება. რუკაზე თბილისი, 73 ქალაქთან ერთად, თეთრი ფერით არის დატანებული, რაც სამუშაო ჯგუფის ლოკაციის აღმნიშვნელი ფერია.

ნითელი ფერი იმ ქალაქებს აღნიშნავს, სადაც აქტიური დაკვირვებები ხორციელდებოდა, მწვანე - ტექნიკური აქტივობით გამორჩეულ ქალაქებს, ნაცრისფერი - პოტენციური დაკვირვების ქალაქებს, ყვითელი კი იმ ქალაქებს, სადაც ნაკლებად ხორციელდებოდა მოსმენები.

თბილისის გარდა, „ვიკილიქსის“ მიერ შედგენილ რუკაზე დატანილია ბაქო, მოსკოვი, რომი, პარიზი, ვენა და სხვა ქალაქები.

თამარ სანიკიძე - ხუთი წლის ბავშვის სკოლაში შეყვანის აკრძალვის საკითხი მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს

თამარ სანიკიძე ხუთი წლის ბავშვის სკოლაში შეყვანის ამკრძალვ კანონპროექტზე მუშაობას არ ადასტურებს. როგორც განათლების მინისტრმა ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ განუცხადა, ამ საკითხის შესახებ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა.

თამარ სანიკიძის განმარტებით, საუბარია მხოლოდ იდეის დონეზე, შესაბამისად კონკრეტული შედეგები არ არსებობს.

„ჯერ მუშავდება გარკვეული კვლევები, შესაბამისად საკითხი არის იდეის დონეზე და მე მას მაღალ ლეგიტიმაციას არ მივცემდი. ჩატარებულია რამდენიმე კვლევა, რამდენად შეუძლია 5 წლის ბავშვს სასწავლო პროცესში მონაწილეობა. შესაბამისად, ჩვენ ამ კვლევის შედეგებს ვსწავლობთ. კანონპროექტის ინიცირება არც გამოიკეთებია და ამაზე არც ვმუშაობთ,“ - აღნიშნა სანიკიძემ.

ვანო მერაბიშვილი ქუთაისის სასამართლოში სისტემატურ სიარულს წყვეტს

ბრალდებისთვის 4000-მდე მონმის დაკითხვის საშუალების მიცემა. წინა სასამართლო სხდომაზე მე ავიხსენით, რომ ჩემთვის რთულია თბილისიდან ქუთაისში სიარული და გთხოვეთ, რომ არ ჩავენიშნათ კვირაში ერთზე მეტი პროცესი, რის პასუხადაც თქვენ განაცხადეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში კვირაში სამ პროცესსაც კი ჩაატარებდით. თქვენმა განცხადებამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ქუთაისში არ უნდა ველოდო სამართალს სასამართლოში. ამიტომ, გადაწყვიტე, შევწყვიტო ქუთაისის სასამართლოში სისტემატური სიარული და საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ამ საკითხს. დღიდან მხოლოდ რამდენიმე პროცესს დავესწრები,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

ვანო მერაბიშვილის განცხადება მისმა ადვოკატმა მოსამართლეს საჯაროდ გააცნო. საჯარო განცხადება გააკეთა ზურაბ ჭიბერაშვილმაც. მისი თქმით, ხელისუფლება სასამართლოს და პროკურატურას პოლიტიკურ იარაღად იყენებს.

ამასთან, გუშინდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის ცხრა მონმე დაიკითხა. მათ შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და საუბნო კომისიის თავმჯდომარეები.

მონმეთა განცხადებით, წინასაარჩევნოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ფული მუშურებულ სამუშაოში აიღეს და ისინი მზად არიან, ეს ფული უკან დააბრუნონ.

„არაფრის გაკეთება არ გვევალებოდა, თუმცა თანხა მანც გადავიხადე. დავალეებში ვგულისხმობ იმას, რომ შრომა არ გვინვედა და ერთადერთი, რასაც პარტიიდან გვავალებდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ ღონისძიებებზე ხალხის მიყვანა იყო,“ - განაცხადა ბრალდების მხარის ერთ-ერთმა მონმემ.

გუშინდელ პროცესზე ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბრალდების მხარე პროცესზე დასაკითხად მეტ მონმეს წარმოადგენს და სასამართლოში 20:00 საათამდე იმუშავენ.

მერაბიშვილის და ჭიბერაშვილის მომდევნო სასამართლო პროცესი 8 ნოემბერს გაიმართება. სხდომა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 12:00 საათზე ჩაინიშნა. სხდომაზე ბრალდების მხარე კიდევ რამდენიმე მონმეს წარმოადგენს.

გუშინდელი პროცესი, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემაც შეფასა.

პროკურორ ნათია სონღულაშვილის განცხადებით, ყველა მონმემ დაადასტურა, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლო ავტომატური ენოლოდნენ.

„ცხრავე მონმემ დაადასტურა, რომ მათ მიერ განხორციელებულ იქნა ნაციონალური მოძრაობის სასარგებლო ავტომატური ანაზღაურება მიიღეს სოციალური სააგენტოს მიერ უმუშევრობის მძიებელთა ერთიანი ბაზის შექმნაში

განხორციელებულ პროგრამის ფარგლებში. თუმცა, ამ კუთხით არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ და ენოლოდნენ მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ავტომატური,“ - აღნიშნაპროკურორმა.

ადვოკატი გიორგი ჩივიშვილი კი გაკვირვებას გამოთქვამს, რატომ იბარება ბრალდება ისეთ მონმეებს, რომლებიც ბრალდებულების უდანაშაულობას ადასტურებენ. ადვოკატის განმარტებით, წარმოდგენილი მონმეებიდან არც ერთს არ უთქვამს, რომ რაიმე სახის უკანონოა მათ ან ვანო მერაბიშვილმა ან ზურაბ ჭიბერაშვილმა დაავალა.

„წარმოდგენილი მონმეებიდან არც ერთს არ უთქვამს, რომ მათ რაიმე სახის უკანონოა ან მერაბიშვილმა, ან ჭიბერაშვილმა დაავალა. ვერ ვმალაგ ვაკვირვება, რაში სჭირდება ბრალდებს ისეთი ტიპის მონმეები, რომლებიც არათუ ბრალდებულების დანაშაულს, არაედ მათ უდანაშაულობას ადასტურებენ,“ - განაცხადა ადვოკატმა.

ცნობისათვის - დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და ჯანდაცვის ყოფილ მინისტრ ზურაბ ჭიბერაშვილს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ე.წ. დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას ედავება. ამასთან, მერაბიშვილს კვარიათში მდებარე აგარაკის მისაკუთრებაზე ედება ბრალი.

პარლამენტმა სდროები განაახლა

ის შეფასება, როცა მან «ნაციონალური მოძრაობის» მხარდამტყულები დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონედ მოიხსენა.

არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება უმცირესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა «ნაციონალური მოძრაობის» კონსტრუქციულობას დაუკავშირა. „არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს და ეს გახლავთ ლოგიკური გარემოება იმ დადებითი შეფასებებისა, რომლებიც „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული დამკვიდრდა. რაც შეეხება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, ნაციონალური მოძრაობის მხარდამტყულებმა გაუძღვეს ზენილას, დაჭერებს, ძალიან ბევრ უკანონობას და 27 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის გაუგზავნეს გზავნილი, რომ მისი ოცნება, გაანაზღაუროს „ნაციონალური მოძრაობა“, აუხდენელ ოცნებად დარჩება,“ - თქვა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

უმცირესობის წევრი პავლე კუბლაშვილი გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიას შეეხო და აღნიშნა, რომ კოპაბიტაციის დასრულების სლოგანს ბევრ ქვეყანაში პოლიტიკოსები არ გამოიყენებდნენ.

კუბლაშვილი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ უმრავლესობის წევრები არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მიერ მიღებულ ხმებს სამსუხარო რეალობას უწოდებენ. „ძალიან ცუდია, რომ პოლიტიკოსები უმრავლესობიდან ამ გზას ადგანან. ცუდია, რომ ასეთ განცხადებებს აკეთებენ ახლად არჩეული პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის წევრები. მინდა, ვისურვო, რომ ჩვენი მიზანი ყოფილიყოს არა პოლიტიკური კინკლაობა და არა ამომრჩევლისთვის დაზარალება, არამედ უკეთესი მომავლისკენ სვლა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით. მინდა, რომ საარჩევნო პროცესში აღარ იყოს ის აგრესიული ტონი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში ოპოზიციისგან და რასაც ადგილი ჰქონდა და აქვს დღეს უკვე ხელი-

პულტს ხელს დააჭერენ, უნდა დაფიქრდნენ, პარლამენტის გადატანა ქუთაისის რა პერსპექტივას უქადის. ქუთაისისთვის წყლის, ნავაგასყრელის და სხვა მწვავე კომუნალური საკითხის არსებობა არ არის იმდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისი უფუნქციობა. წლიდან წლამდე ეს ქალაქი უფრო იცლება და ახალგაზრდობა უფრო და უფრო მეტად ტოვებს ამ ქალაქს. აქედან გამომდინარე, ქუთაისისთვის პარლამენტის არსებობა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხია. დაწყებულია გარკვეული მოძრაობა პარლამენტის გადატანისთვის. ვიდრე ამ თემაზე ვიფიქრებთ, ვიდრე ამ თემაზე გადაწყვეტილების მისაღებად პულტს დავაჭერთ ხელს, დავფიქრდეთ, რამდენად მნიშვნელოვანია სიდიდით მეორე ქალაქის ყოფნა-არყოფნის საკითხი, რამდენად მნიშვნელოვანია მისი პერსპექტივა,“ - აღნიშნა უმცირესობის წევრმა.

თევდორაძის გამოსვლას წინ უძღოდა მის მიერ ბიუროს წევრების წინაშე გამოთქმული პროტესტი. დეპუტატებმა პარლამენტის ლოგოს შეცვლის საკითხი განიხილეს. უმრავლესობის ინიციატივით, საკანონმდებლო ორგანოს ძველი ლოგო უბრუნდება, რომელზეც თბილისში მდებარე პარლამენტის ყოფილი შენობაა ასახული.

პარასკევის პლენარულ სხდომაზე, პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლის საკითხთან ერთად, კონსტიტუციური ვეოროუმის გამარტივების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტსაც დაუბრუნდებიან. გარდა ამისა, დღის წესრიგში «საერთო სასამართლოების შესახებ» ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტზე პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს დაძლევისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კარლო კვიციანიშვილის იმპიჩმენტის საკითხებია შეტანილი.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "შეპ". რედაქტორ-გამომცემლები:

მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.

რედაქცია: სოფოკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მიაა ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უსპოვითი)

სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მთავრობა თვითმმართველობის ახალ კოდექსზე მუშაობს

პირველი გვერდიდან

მინისტრი იმედოვნებს, რომ დევნილები გაზრდილი შემწეობის მიღებას 1 იანვრიდან შეძლებენ, ხოლო მაქსიმალურ ვადად 1 მარტი სახელდება.

მინისტრმა მედიას მთავრობის სხდომაზე მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება გააცნო, რომლის თანახმად 414 დევნილ ოჯახს სახელმწიფო საცხოვრებელ ბინას სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადასცემს.

დარახველივც ზამთრის სეზონის გამო დევნილებისთვის ვაუჩერის გადაცემის საკითხზეც საუბრობს. როგორც მან აღნიშნა, 25 000 დევნილ ოჯახს, რომელთა სოციალური რეიტინგი 70 001 ქულაზე ნაკლებია, 200-ლარიანი ვაუჩერი გადაეცემა. ვაუჩერით დევნილები ელექტროენერჯისა და გაზის საფასურის დაფარვას შეძლებენ.

მთავრობის სხდომაზე მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტს ეხება, რომელიც უახლოეს ხანში მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის სახეს მიიღებს. საუბარია

თვითმმართველობის კოდექსის პროექტზე, რომელიც გუბერნატორის ინსტიტუტში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას თქმით, კოდექსის ამოქმედება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ არის დაგეგმილი. როგორც ნარმანია ამბობს, გუბერნატორის ნაცვლად რეგიონებში მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იქნება წარმოდგენილი. მინისტრის ინფორმაციით, დაგეგმილია მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციების გაზრდა. პარალელურად, მხარის კოლეგიალური ორგანო ჩამოყალიბდება, რომელშიც საკრებულოების წევრები გაერთიანდებიან.

ნარმანიას თქმით, მთავრობას უახლოეს ხანში დასანიშნა გუბერნატორების კანდიდატურების შესახებ არ უმსჯელია. როგორც მინისტრი განმარტავს, პრეზიდენტის ინაუგურაციამდე იმ გუბერნატორთა მოვალეობას, რომლებმაც არჩევნების შემდეგ თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღეს, მათი მოადგილეები შეასრულებენ. ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ძალაში შევა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის მიხედვით, გუბერნატორს პრეზიდენტი აღარ დანიშნავს, არამედ მთავრობა დაამტკიცებს და გადაწყვეტილებას ხელს პრემიერი მოაწერს. დავით ნარმანია ამბობს, რომ გუბერნატორებს ფუნქციები თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებამდეც გაეზრდებათ, რომელიც მთავრობის ტიპურ დებულებაში გაიწერება. მთავრობა დოკუმენტის მიღებას რამდენიმე დღეში აპირებს.

რაც შეეხება თვითმმართველობის კოდექსის სხვა სიახლეებს, მთავრობას თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდა სურს. ამჟამად ხუთი თვითმმართველი ქალაქია - თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი. დავით ნარმანიას თქმით, ეს სტატუსი იმ ქალაქებსაც მიენიჭებათ, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია, მათ შორისაა ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი და სხვ.

პროექტის მიხედვით, თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან თემები ჩამოყალიბდება, რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტების ფორმირება იგეგმება.

თვითმმართველი ერთეული, როგორც ქალაქების, ისე მუნიციპალიტეტების მმართველი რგოლები, არჩევითი იქნება. ასევე, განისაზღვრება ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა, რაც, პროექტის ავტორთა აზრით, თვითმმართველობებს მეტ ფინანსურ რესურსს გაუჩენს.

პროექტი სოფლებში საზო-

გადგომის საბჭოების შექმნასაც ითვალისწინებს, ეს სოფლის მოსახლეობის რეალური საჭროებების გამოვლენასა და გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

პროექტში ნათქვამია, რომ რეფორმის შედეგად ქვეყნის მასშტაბით ქალაქები და სოფლები სწორი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით განვითარდება.

მთავრობის სხდომაზე ასევე მოიწონეს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი, რომლის მიზანია იპოთეკართა საკითხის დარეგულირება.

მინისტრთა კაბინეტის წინაშე საკითხი იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სანდრო ბარამიძემ წარადგინა. პროექტი იპოთეკის ხელშეკრულების დამტკიცების წესის შემოღებას ითვალისწინებს. პარალელურად, ნოტარიუსს ვალდებულება დაეკისრება, რომ მსესხებელს აუხსნას, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებამ. გარდა ამისა, კერძო იპოთეკარებისთვის პროცენტზე შეზღუდვა დაწესდება. **„ამით დარეგულირდება ის, რომ აქამდე პროცენტზე არავითარი შეზღუდვა არ იყო,“** - აღნიშნავს სანდრო ბარამიძე. თუმცა, მისივე თქმით, რეგულაციები კომერციულ ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებზე არ გავრცელდება.

ცვლილებები იგეგმება აღსრულების წესშიც, რაც მსესხებელს საშუალებას მისცემს, ქონების დასაცავად გარკვეული ზომები მიიღოს, სანამ მას სავალდებულო აუქციონზე გაიტანენ. **ბევრი ვიმუშავებ და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები გვქონდა. გვსურდა ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, მოქალაქეების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, გამსესხებლების ინტერესებს შორის. მართალია, გარკვეული რეგულაციები შემოგვავქვს, მაგარამ ამავე დროს არ გვინდა, ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებს მე-**

ტისმეტად დიდი ტვირთი დავაკისროთ,“ - თქვა სანდრო ბარამიძემ.

მთავრობის ინიციატივით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონსა და „ნოტარიატის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვა პარლამენტში დაიწყება.

მთავრობამ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს წინადადება გაიზიარა და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის ინიცირების გადაწყვეტილება მიიღო. სერგეენკოს განმარტებით, ზოგადად, მედიკამენტები სამ ჯგუფად იყოფა: ერთია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული მედიკამენტები, რომლებიც მკაცრ კონტროლს ექვემდებარება, მეორე ჯგუფში შედის მედიკამენტები, რომელთა ურეცეპტოდ გაცემამ შეიძლება, პაციენტს საფრთხე შეუქმნას, ხოლო მესამე - თავისუფალ გაყიდვაში არსებული მედიკამენტებია, როგორც არის ვიტამინები და ტკივილგამაყუჩებელი მარტივი ნაწარმი. როგორც სერგეენკო აღნიშნავს, საქმე ის არის, რომ მოქმედი ნორმებით მეორე ჯგუფი სრულად არ რეგულირდებოდა. **„ჩანაწერი იყო, რომ მართალია, რეცეპტით უნდა გაიცეს, მაგრამ თუ ვინმე მოვიდა და რეცეპტი არ აქვს, ასეთ შემთხვევაში მაინც შეგიძლია მისცე. ამან განვითარა და ააყვავა ე.წ. საფთაქო ნარკომანია. ძლიერ მოქმედ ნაწარმებს, რომლებიც პირველ ჯგუფში არ შედის, რეცეპტის გარეშე ყიდულობდნენ. ცვლილებები სწორედ მეორე ჯგუფს შეეხება. მთავარი ამოცანა ისეთი გეგმის განერა იყო, რომელიც პაციენტს ზედმეტ ბარიერს არ შეუქმნიდა. ბარიერები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ მოხსნა,**“ - აღნიშნავს სერგეენკო.

საკუთარი ინფორმაცია

თბილისის მერს უფლებები ეზღუდება

დედაქალაქის მერს თანამდებობის პირების დასანიშნად საკრებულოს თანხმობა დასჭირდება. საუბარია ვიცე-მერების, საქალაქო სამსახურების უფროსების, გამგებლების, ადმინისტრაციის უფროსის მოხსნა-დანიშვნაზე, რაც დღეისთვის ერთმნიშვნელოვნად მერის პრეროგატივაა.

პარლამენტში უკვე ინიცირებულია „დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, რომლის ავტორებიც არიან რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ტრიპოლსკი და მისი პირველი მოადგილე ვია ჟორჟოლიანი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი ტრიპოლსკიმ განუცხადა, თბილისის მერი ვიცე-მერების, გამგებლების, საქალაქო სამსახურების უფროსების და მერიის ადმინისტრაციის უფროსის კანდიდატურებს დასამტკიცებლად საკრებულოს წარუდგენს, რომლის თანხმობის მისაღებად ხმების 1/3 დასჭირდება.

მისივე განმარტებით, კანონპროექტით, თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში მერი საკრებულოში იმავე ან სხვა კანდიდატურებს წარადგენს და თუ საკრებულო აღნიშნულ პირებს თანხმობას კვლავ არ მისცემს, მაშინ საკრებულოს წარმომადგენელთა 1/3 უფლებამოსილია, ახალი კანდიდატურა თავად წამოაყენოს.

პროექტით, თუ საკრებულოს წევრთა მიერ წარდგენილი კანდიდატურა ხმათა საჭირო რაოდენობას ვერ მიიღებს, თბილისის მერი თანამდებობაზე თავისთვის სასურველ კანდიდატურას ნიშნავს.

გარდა ამისა, კანონპროექტში ჩადებულია საკრებულოს მიერ აღნიშნული თანამდებობის პირებისთვის უნდობლობის გამოცხადების მექანიზმები, რაც სიით შემადგენლობის უმრავლესობით იქნება შესაძლებელი. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს. უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, თბილისის მერი ვალდებულია, შესაბამისი პირი თანამდებობიდან გადააყენოს.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, რამდენად შეეხება უფლებამოსილების საკრებულოზე გადაწინააღმდეგობა მოქმედ მერსა და საკრებულოს, ტრიპოლსკიმ განმარტა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა დაჩქარებული წესით არ იგეგმება, ამ მიმართულებით კონკრეტული ვადები დადგენილი არ არის და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მიიღებს კანონპროექტს პარლამენტი.

ჭიჭადის სახელით გავრცელებული ვიდეოს ავტორ სამარ ჩოკუტაევზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა დაუდასტურა.

ჯიჭადის სახელით ვიდეოს დამზადებლსა და გავრცელებამ ბრალდებულ ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევს ძებნის დასაწყებად პროკურატურამ ინტერპოლს მასალები დაახლოებით 2 კვირის წინ გაუგზავნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. ჯიჭადის ვიდეოს საქმე გახსნილად 3 ოქტომბერს გამოაცხადა. უწყების ინფორმაციით, საქმეზე ბრალდებული ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევია, რომელიც ამჟამად საქართველოს არაკონტროლებად ტერიტორიაზე იმყოფება და სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს.

„საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილია, რომ ბრალდებული სამარ ჩოკუტაევი არის მაღალი კვალიფიკაციის IT სპეციალისტი და დანაშაული მან საქართველოს არაკონტროლებად ტერიტორიაზე ჩაიდინა, კერძოდ, 2013 წლის 4 ივნისს ბრალდებულმა სამარ ჩოკუტაევმა ინტერნეტსივრცეში მომხმარებელ Hammad Zaman-ის სახელით განათავსა ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას,“ - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ამასთან, სამარ ჩოკუტაევს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა.

ინაუგურაციაზე ყოფილი პრეზიდენტის მიწვევის საკითხი განიხილება

პირველი გვერდიდან

„ინაუგურაცია მშვიდი, ლამაზი იქნება, ისეთი, როგორც გიორგი მარგველაშვილს ეკადრება,“ - აღნიშნავს ბერიკაშვილი.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თქმით, ინაუგურაციის ცერემონიაზე სამხედრო კომპონენტი აუცილებლად იქნება წარმოდგენილი, თუმცა მის მასშტაბებს, როგორც ალასანია აღნიშნავს, სამთავრობო კომისია გან-

საზღვრავს. ინაუგურაციის საორგანიზაციო კომისიის სხდომის შემდეგ მაია ფანჯიკიძემ თქვა, რომ ინაუგურაცია ძალიან პომპეზური არაა, მაგრამ საზეიმო ხასიათის იქნება და მასში ხალხი მიიღებს მონაწილეობას.

სხდომაზე ინაუგურაციაზე ყოფილი პრეზიდენტების მიწვევის შესახებაც იმსჯელეს, მაგრამ, როგორც ფაჯიკიძე ამბობს, კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით მი-

ღებული არ არის. მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, ინაუგურაციაზე დასასწრებად საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ნატო-ში, ევროკავშირში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივასა“ და დსთ-ში გაერთიანებულ ქვეყნებს დაპატიჟებენ. **„მოსაწვევებს იმ სახელმწიფოებსაც გაუგზავნით, რომლებიც ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული არ არიან, მაგრამ სა-**

ქართველოში წარმომადგენლობები აქვთ, მათ შორისა შვეიცარია, ჩინეთი, იაპონია. ვნახოთ, ვინ გამოგვეხმაურება და ვინ შეძლებს ჩამოსვლას,“ - აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე.

ორშაბათს, კომისიის მორიგ შეკრებაზე, ფანჯიკიძის ინფორმაციით, ჩამოყალიბებული სცენარი იქნება წარმოდგენილი.

საკუთარი ინფორმაცია

ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს

ოთხშაბათს ეგვიპტის უსაფრთხოების ძალებმა „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთი ლიდერი ესამ ალ-ერიანი დააკავეს. ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ესამ ალ-ერიანი, რომელიც „თავისუფლების და სამართლიანობის“ პარტიის ვიცე-თავმჯდომარე იყო, კაიროს გარეუბანში აიყვანეს. ცნობისათვის - ივლისიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი თანამდებობას ჩამოაცილა, ქვეყანაში ამ მოძრაობის არაერთი წევრი და მხარდამჭერი დააპატიმრეს. მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში მისი მხარდასაჭერი გამოსვლები არ ცხრება. ისლამისტებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის დაპირისპირებას ასობით ადამიანი ემსხვერპლა. სექტემბერში კი ქვეყნის სასამართლომ ეს მოძრაობა აკრძალა. ესამ ალ-ერიანს, მოძრაობის სხვა წევრების მსგავსად, „ძალადობის წახალისებ“ და „კრიმინალურ აქტებში“ მონაწილეობა ბრალდება. ის „მუსლიმი ძმების“ ბოლო ან ერთ-ერთი ბოლო გავლენიანი ლიდერია, რომელიც გარეთ იყო დარჩენილი.

ისრაელმა 26 პალესტინელი პატიმარი გაათავისუფლა

ოთხშაბათს ისრაელმა 26 პალესტინელი პატიმარი გაათავისუფლა. «24 საათი» გუშინ უკვე წერდა, რომ პატიმართა მეორე ჯგუფის გათავისუფლება სამშვიდობო პროცესის ნაწილია, რომელიც ამერიკის შუამავლობით მიმდინარეობს. ამ დროისთვის ისრაელის ციხეებში კვლავ რჩება ათასობით პალესტინელი პატიმარი. ცნობისათვის - 2010 წლის შემდეგ ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები, ამერიკის ხელშეწყობით, ივლისში, გამინგტონში განახლდა. მიმდინარე შეთანხმებით, მოლაპარაკებებზე პროგრესის გათვალისწინებით, ისრაელმა კიდევ 52 პატიმარი უნდა გაუშვას ორ ჯგუფად.

ინდოეთში ავტობუსის ავარიის 42 ადამიანი ემსხვერპლა

ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში ავტობუსი ბენზინში შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა, რასაც 42 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ავტობუსი სულ 49 მგზავრი იმყოფებოდა. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ინციდენტის დროს მგზავრების უმრავლესობას ეძინა. ავტობუსიდან გაღრევა მძღოლმა და კიდევ ექვსმა მგზავრმა მოახერხა. ავტობუსი ბანგალორიდან ჰაიდარაბადის მიმართულეობით გადაადგილდებოდა.

ავღანეთის ოფიციალური პირები „თალიბანის“ ყოფილ ლიდერს შეხვედებიან

ავღანეთის ოფიციალური პირები პაკისტანში „თალიბანის“ ყოფილ ნომერ მეორე პირთან მულა აბდულ განი ბარადართან შესახვედრად ჩადიან. „როიტერს“ ცნობით, ამის შესახებ განცხადება ავღანეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააკეთა. ბარადარი „თალიბანის“ ლიდერ მულა მოჰამედ ომარის დიდი ხნის მეგობარია და მასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში დიპლომატიის დაწყებას ავღანეთი მნიშვნელოვნად აფასებს. ამ კვირაში ლონდონში დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კამერონი ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაისა და პაკისტანის პრემიერი ნავაზ შარიფს უმასპინძლებს, ქვეყნის ხელმძღვანელები „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ იმსჯელებენ. ავღანეთის პრეზიდენტის ბრძანებით, 2010 წელს ავღანეთში უმაღლესი სამშვიდობო საბჭო შეიქმნა, რომლის მიზანიც „თალიბანის“ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დაყოლიებაა.

პუტინის მრჩეველი: უკრაინა ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებას არ გააფორმებს

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მრჩეველი სერგეი გლაზიუვი აცხადებს, რომ უკრაინა ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელს არ მოაწერს. მრჩეველი დარწმუნებულია, რომ ეს უკრაინის ინტერესებს ეწინააღმდეგება. „მიმანჩია, რომ შეთანხმებას ხელი არ მოეწერება. ამ შეთანხმებას ხელი არ უნდა მოეწეროს, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება უკრაინის ეკონომიკურ ინტერესებს, ჩვენს საფორ-ისტორიულ ტრადიციებს, ეს სარგებლის მომტანი არ არის არც ევროპისთვის,“ - არც ჩვენითვის და არც ყაზახეთისა და ბელარუსისათვის,“ - განაცხადა გლაზიუვი. ამასთან, მრჩეველი ფიქრობს, რომ ამ შეთანხმებამ შესაძლოა, უკრაინის რუსეთთან დაახლოებას შეუშალოს ხელი: „უკრაინასთან მეგობრობის შეთანხმების მე-13 მუხლიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ვართ, დავახლოებით ჩვენი კანონმდებლობები, შევექმნათ ერთიანი ეკონომიკური სივრცე. ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმება მსგავს შესაძლებლობებს გზას უღობავს,“ - ირწმუნება პუტინის მრჩეველი. ამასთან, გლაზიუვის აზრით, საბაჟო კავშირში განვერძინებით უკრაინა მაშინვე მიიღებს 10 მილიარდ დოლარს (გაურკვეველია, საიდან).

ნოემბერში ვილნიუსის სამიტზე უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა იგეგმება. ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ უკრაინა საბაჟო კავშირში განვერძინებას ვეღარ შეძლებს.

თურქეთის პრემიერი რუსეთს 22 ნოემბერს ეწვევა

თურქეთის პრემიერი-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი რუსეთში ჩასვლას 22 ნოემბერს გეგმავს, - ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ მოსკოვში თურქეთის საელჩოს პრესატაშემ ორჰან გაზიგლიმ განუცხადა. „თუ ბოლო მომენტში ცვლილებები არ მოხდა, ვიზიტი 22 ნოემბერს არის დაგეგმილი,“ - აღნიშნა საელჩოს წარმომადგენელმა. მისი თქმით, რუსეთში, ერდოღანთან ერთად, რამდენიმე მინისტრიც ჩავა. დღის წესრიგს ამ დროისთვის ადგენენ.

მომზადდა თამთა კახაძემ

დავასკოს ალყაბომორტყმული ბარეუზნიდან ხალხი გამოუშვეს

ივა შილასაძე

ასადის ხელისუფლებამ ბოლო დღეებში ორი „შემრიგებლური“ ნაბიჯი გადადგა ხალხისა და სამხედრო დეზერტირების მიმართ. თუმცა მთლიანობაში ქვეყანაში საომარი და ჰუმანიტარული სიტუაცია კვლავ ძალიან მძიმეა. ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრები ქურთები ირწმუნებიან, რომ მათ წინააღმდეგ ისლამისტმა ამბოხებულებმა ქიმიური ყუმბარა გამოიყენეს. აღეპოსთან ახლოს პატარა ქალაქში კი „ალ-არაბიას“ რეპორტიორი მოკლეს. ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ ატეხილი განცხადებით, ჯერჯერობით კონფლიქტის მხარეებზე „არ მოქმედებს.“

სირიის სამთავრობო ძალებმა დედაქალაქ დამასკოს გარეუბან მუად-ჰამიას ათასობით მკვიდრს რაიონის დატოვების უფლება მისცეს. ეს გარეუბანი, სულ ცოტა, ორ ასეთივე პატარა დასახლებასთან - აღმოსავლეთ გუტსა და იარმუქთან ერთად, რამდენიმე თვეა, ალყაში ჰყავთ. ქიმიური იარაღის გამოყენებაც ყველაზე მასშტაბურად ავგისტოში სწორედ გუტში და მუადჰამიაში მოხდა. მუადჰამიასთან გარე კონტაქტი მარტის შემდეგ აღარ ყოფილა. ამ რაიონში საკვების მარაგი მალე ამოიწურა. ხალხი უკვე ბალახის ჭამაზე იყო გადასული. რამდენიმე კვირის წინ კი ჰუმანიტარული სიტუაცია სირიის ბევრ პროვინციაში ისე გართულდა, რომ იმავებმა ხალხს ოფიციალურად დართეს ნება, ისეთი ცხოველების ხორცი ეჭაბათ (კატები, ძაღლები და ვირები), რომელიც მუსლიმებისთვის აკრძალულია. შიმშილი სიკვდილისგან გადასარჩენად ზოგან სხვა საშუალება აღარ რჩებოდა. ამ გარეუბნების მოსახლეობა დიდ ხანია, ყველა სთხოვდა, საერთაშორისო საზოგადოების ჩათვლით, შიმშილით სიკვდილისგან გადაერჩინათ.

ეს იყო ხელისუფლების ტაქტიკა.



დაღუპული ჟურნალისტი მუჰამედ სიდი

მათ წინასწარ განაცხადეს, რომ ოპოზიციის მიერ კონტროლირებად რეგიონებში ამბოხებულებს მოსახლებასთან ან ირადიტი მიმართული მოუხლედათ. ხალხის მიერ მუადჰამიის დატოვების შემდეგ იქ, საერაოდ, ბრძოლები გამწვავდება.

იმ ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობას ეხმარებიან, მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილება ისეთივე პრიორიტეტი უნდა იყოს, როგორც სირიის ქიმიური იარაღისგან გათავისუფლება. მაგალითად, ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ გენერალურმა დირექტორმა ურსტოფერ სტოუსკამა აბსურდული კონსტრუქციის აპროპოზიციას, როდესაც ინსექტორები, რომლებიც ქიმიური იარაღის საწყობებს ამოწმებენ, თავისუფლად გადაადგილდებიან იმ რაიონებში, სადაც ხალხი სულს ღაფავს და ზოგან ბრძოლაც მიმდინარეობს, ხოლო ჰუმანიტარული ტვირთით სავსე კოლონების გადაადგილება

ბა კი ბლოკირებულია.

ამ ყველაფერმა სირიაში ისეთი დაავადებების კერების გაჩენა გამოიწვია, რაც იქ დიდი ხანია, აღარ ყოფილა. სხვადასხვა პროვინციებში უკვე დაფიქსირებულია პოლიომიელიტის, ნითელას, ტიფისა და ა-ჰეპატიტის შემთხვევები - უმეტესად, სამწუხაროდ, ბავშვებში. ორი დღის წინ პრეზიდენტმა ასადა მორიგი ამნისტია გამოაცხადა - ძირითადად, დეზერტირებისთვის. ამ ბრძანების თანახმად, ყველა, ვინც დანაშაული 29 ოქტომბრამდე ჩაიდინა ან იარაღით ხელში იბრძვის მთავრობის წინააღმდეგ, შეწყალებულიად ცხადდება, თუ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთ თვეში იარაღს დაყრიან. ბოლო ასეთი ამნისტია აპროპოზიციის მოცხადება და მამინ ამით მეტრძოლთა ნაწილმა ისარგებლა.

გუშინ აღეპოს პროვინციაში პანარაბული ტელეკომპანია „ალ-არაბიას“ რეპორტიორი მუჰამედ სიდი მოკლეს. ის საბრძოლო მოქმედებების დროს არ დაღუპულა, მას მაყუჩიანი

ამერიკის დაზვერვის „მნარე“ აღიარება კონბრესში

პირველი გვერდიდან

ამის შესახებ მსოფლიო მედიაში ინფორმაციები მუდმივად ჩნდება ივლისიდან მოყოლებული, რაც ამერიკის სპეცსამსახურების ყოფილმა აგენტმა ედუარდ სნოუდენმა მოპარული საიდუმლო დოკუმენტები მედიის წარმომადგენლებს გადასცა. ამ თემაზე სისტემატურად დაწერილებით წერს «24 საათი» კონგრესში მოსმენების დაწყების შესახებ ჩვენ გუშინდეულ სტატიაშიც ვიუწყებოდი.

ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლევერმა განაცხადა, რომ უცხოელი პოლიტიკოსების გეგმების ანალიზი ამერიკის სადაზვერვო ოპერაციების უმაღლესი მიზანია. მან აღიარა, რომ სპეცსამსახურები პერიოდულად შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ აღნიშნა, რომ ამერიკელების მიმართ კანონი არ დაურღვევია და არც უცხოელების თვალთვალს აწარმოებდნენ განურჩევლად.

თავის მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორმა, გენერალმა კეიტ ალექსანდერმა განაცხადა, რომ უმჯობესია, კონგრესის წინაშე ავგონ პასუხი საკუთარი მოქმედებებისთვის, ვიდრე ქვეყანაზე თავდასხმა დაუშვან. მისივე სიტყვებით, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ამ სახელმწიფოებში მილიონობით სატელეფონო ზარს აკონტროლებდა, მთლიანად სიცრუეა. გენერალმა ალექსანდერმა განაცხადა, რომ მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შესახებაც წერს არამერიკული პრესა, ევროპული სადაზვერვო სამსახურების მიერ იკრიბებოდა და შემდეგ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს გადაეცემოდა.

ეს სიტყვები, ფაქტობრივად, იმის აღიარებაა, რომ ამერიკელები უმეტესდნენ არა მხოლოდ ტერორისტებს და მათ შესაძლო თანამზრახველებს,

ცნობის კომენტარებზე უარი თქვა. ამას გარდა, თეთრი სახლის წარმომადგენლის მტკიცებით, ობამას მრჩეველები ბოლო პერიოდში მივიდნენ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი ტიპის თვალთვალის აუცილებლობა არც არის.

წინა კვირებში ერთმანეთის მიყოლებით გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკის სპეცსამსახურები მასობრივად აკონტროლებდნენ ბრაზილიის, მექსიკის საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის მოქალაქეთა სატელეფონო ზარებს და ელექტრონულ მიმონერას, ასევე უთვალთვალდნენ ბრაზილიის, მექსიკისა და გერმანიის პირველ პირებს. ამ ბრალდებების პასუხად ამერიკელები აცხადებენ, რომ ჯამუშობა ჩვეულებრივი მოვლენა და ყველა ქვეყნის სპეცსამსახურის ერთმანეთს უსმენს, მოკავშირეების ჩათვლით. პრინციპში, ეს აღიარებს კიდევ ბოლო დღეებში, მაგალითად, საბერძნეთისა და საფრანგეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრებმა ტეოდოროს პანგალოსმა და ბერნარ კუშნერმა. მაგრამ სხვა ქვეყნებს იმდენი შესაძლებლობები არ აქვთ, რაც ამერიკის შერეულ შტატებს და დანარჩენებს, უბრალოდ, მუთრ ვაშინგტონის.

ობამა და ამერკის პრესტიჟი ბოლო დღეებში დემოკრატებზე უფრო აქტიურად დაიცვეს რესპუბლიკელებმა, წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ მაიკ როჯერსმა და კონგრესორიზმის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ პიტერ კინგმა, რაზეც ჩვენ წინა სტატიებში ასევე ვწერდით. როჯერსმა თქვა, რომ ევროპის სახელმწიფოების მთავრობებმა ჯობია, საკუთარი სპეცსამსახურები უკეთ გააკონტროლონ და მათ მეტი ინფორმაცია მოსთხოვონ, რადგან ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მასალები შეიძლება, სახელე ყოფილიყო ვინმესთვის პოლიტიკოსების შორის, მაგრამ არა მხვერვაებისთვის. იგივე საფრანგეთში ბოლო დრომდე მსოფლიო ლიდერად მიიჩნეოდა ეკონომიკურ შპიონაჟში,

პისტოლეტიდან მიზანიმართულად ესროლა კაპიტოლიონი სახელდაფარულმა მამაკაცმა. საიდი ალეპოელია, ის სპეციალიზებული იყო სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის გაშუქებაზე.

გუშინვე სირიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებული ვიცე-პრემიერი კადრი ჯამილი, რომელიც მთავრობაში ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენელი იყო. ოფიციალურ მიზეზებად დასახელებულია ის, რომ ჯამილი ნეპარტის გარეშე აცდენდა მთავრობის სხდომებს, კარგად არ ასრულებდა მოვალეობებს და ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აწყობდა შეხვედრებს უცხოეთში. თვით კადრი ჯამილმა განაცხადა, რომ მისთვის ეს ოფიციალურად არ შეუფერხებიათ, თუმცა თუ სახელმწიფო ტელევიზიით გადაიცა, შეიძლება, სიმართლე იყოს. კადრი ჯამილი 26 ოქტომბერს ფენევაში შეხვდა ამერიკელ დიპლომატთა ჯგუფს სირიაში ყოფილი ელჩის რობერტ ფორდის ხელმძღვანელობით. შეხვედრაზე სამშვიდობო კონფერენცია „ფენევა 2“-ის შესახებ იმსჯელეს. შეიძლება, სწორედ ეს გახდა კადრი ჯამილის გადაყენების მიზეზი.

სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ რას ელ-ანთან ბოლო პერიოდში აქტიური ბრძოლები მიმდინარეობს იქ კომპაქტურად მცხოვრები ქურთების შეთარაღებულ რაზმებსა და ისლამისტ ამბოხებულებს შორის „ჯებჰატი ალ ნუსრადან“ და „ერაყის და ლეგანტის ისლამური სახელმწიფოდან“ (ეს „ალ კიდასთან“ დაკავშირებული ორგანიზაცია). მათ შემოტევებს ქურთები წარმატებით იგერიებენ. გუშინწინ ტელეარხ ალ-მაიედინის საშუალებით ქურთებმა გაავრცელეს ცნობა, რომ მათ ბლოკუსტანში ქურთი აფეთქდა, რომელიც კვითელი კვამლი შქონდა, მოხალისეთა რაზმების იქ მყოფ მებრძოლებს კი ძლიერი მონამვლის ნიშნები აქვთ.

Come Together ავიზი კონტან ერთად

პირველი გვარდიან

ავიზი კონტან და მისი სიმებიანი ბენდის კონცერტი მშვიდი, ჰაეროვანი მელოდებით დაიწყო. მსმენელი წამიერად აღმოჩნდა ზღაპრულ, უფრო კი ზღაპრის სამყაროში. დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს ოდესღაც ზღაპრები სწორედ ასეთი მუსიკის ფონზე იწერებოდა, წარმოსახვაში კი, უოლტ დისნის «ფანტაზიის» მსგავსი კადრები ისახებოდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ აქ პერსონაჟები ნოტები და აკორდები იყო. ასეთ დასაწყისს ალბათ ყველაზე ნაკლებად ელოდა მსმენელი, რომელიც წინა დღეს მარკუს მილერის კონცერტიდან მიღებული ველური ემოციისგან ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული.

აღმოჩნდა, რომ ჯაზს და კლასიკურ მუსიკას იმაზე უკეთ შეუძლიათ თანაცხოვრება, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. ამ მუსიკალური ჟანრების სინთეზი იმდენად ორგანული აღმოჩნდა, ძნელი გადასაწყვეტი იყო, რომელი გახლდათ დომინანტი. გადანწყვტილების მიღებას



ისიც ართულებდა, რომ ორს მესამე - ფოლკლორიც ემატებოდა, რომელიც ავიზი კონტანის მუსიკაში განსაკუთრებულ როლს იკავებს.

ებრაელი მუსიკოსი იერუსალიმშია დაბადებული, თუმცა მისი დედა ესპანელი ებრაელების შთამომავალია. შესაბამისად, ამ ქვეყნის მუსი-

კა, აქაური ებრაელების ფოლკლორი, ავიზი კონტანისთვის ბავშვობიდან ნაცნობი და საყვარელი გახლდათ. «თბილისი ჩვენი ევროპული ტურნეს ერთ-ერთი ბოლო ქალაქია, ამიტომ დღეს წარმოგიდგინთ ყველაფერ საუკეთესოს, რაც ამ ტურნეს განმავლობაში დაგვიგროვდა.

მათ შორისაა ესპანელ ებრაელთა სიმღერა Puncta Puncta, რომელიც დედისგან მაქვს ნასწავლი», - ამბობს ავიზი კონტანი და კონცერტის განმავლობაში პირველად ამღერდება, მისი გაუნწვრთნელი დაბალი ხმა კი ზუსტად ისე ჟღერს, როგორც ალბათ ძალიან დიდი ხნის წინ ესპანეთის ებრაულ სოფლებში ჩვეულებრივი ადამიანები მღეროდნენ.

ესპანეთიდან თითქმის საუკუნის წინანდელი რუსეთში, კონკრეტულად კი ნიჟნი ნოვოროსკიდან ვინაცვლებს და On a black horse-ს ვისმენთ. არ ვიცი, ორიგინალში ეს კომპოზიცია როგორ ჟღერდა, მაგრამ კონტანის ინტერპრეტაციაში მთელი არსებით შეიგრძნობ რევოლუციურად ალტკინებულ მხედრებსა და ხიშტიანი თოფებით დარაზმულ წითელარმიელებს.

სწორედ ამ კომპოზიციის მოსმენისას ხვდები იმასაც, რომ სცენაზე უკვე ახალი პერსონაჟები შეგროვდნენ - ნოტები და აკორდები მარტო აღარ არიან, მაგრამ, ეს საკმარისი არ გახლავთ, რადგან სადაც ჯაზია, იქ ამერიკაც უნდა იყოს. ასეც ხდება და მუსიკოსები ჯაზსტანდარტით A Child Is Born დროებით რეალობაში გვაბრუნებენ, თუმცა მხოლოდ დროებით, რადგან წინ კიდევ რამდენიმე ებრაული კომპოზიცია, მათ შორის «იანანა» და «მორენიკა», გველის და კონცერტის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და, ისრაელის ისტორიის გათვალისწინებით, მოულოდნელი ნომერიც, ლიბანური სიმღერა - ფანტასტიკური კომპოზიცია, რომლის

დროსაც საუკეთესოდ ჩანს ავიზი კონტანის მუსიკოსების ოსტატობა.

პიანისტი ნათია ჰერშკოვიცი, დრამერი ოფრი ნეჰემია, ჩელისტი იაელ შაპირა, ჰობოსტი იორამ ლაჩიში და სამი მევიოლინე: კორდელია ჰაგმანი, ამიტ ლანდაუ და ნოამ ჰაი-მოვიც ვინაშე - ავიზი კონტანი ევროპულ ტურნეს სწორედ ამ მუსიკოსებთან ერთად ატარებს. მათი არჩევანს კი ნამდვილად არ შემცდარა - ყველა მათგანი, 19 წლის დრამერის ჩათვლით, რომლის სახელსაც მომავალში კიდევ უფრო ხმამაღლა გავიგებთ, საკუთარი საქმის ვირტუოზია.

...კონცერტის ოფიციალური ნაწილის დასასრულის შემდეგ მსმენელი მუსიკოსებს ბისზე იძახებს. სცენაზე ჯერ მხოლოდ ავიზი კონტანი ბრუნდება და კონტრაბასთან განმარტებული საკუთარ ოსტატობას გვთავაზობს. შემდეგ მას პიანისტი ნათია ჰერშკოვიცი და დრამერი ოფრი ნეჰემია უერთდებიან და ახლა უკვე ტრიო გვისრულებს «ბესამე მუჩოს», თუმცა იმდენად განსხვავებული ინტერპრეტაციით, რომ მოესმინა, კონსულელო ველასკესი ალბათ აღარასდროს დაიბრალებდა მის ავტორობას.

ბოლოს სცენიდან მეორედ გასული ავიზი კონტანი მესამედ გვიბრუნდება და კულისებში მიღებულ თხოვნას ასრულებს - «ბიტლზის» Come Together სწორედ ის კომპოზიციაა, რომელიც ავიზი კონტან ერთად უნდა ვიმღეროთ. და ჩვენც ვმღერით...

არქიტექტურა - კავშირი კულტურათა შორის


1 ნოემბერს, 19 საათზე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნება გამოფენა გამოფენა «პაულ(ა) შტერნი - უცნობი არქივი».

გამოფენას წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. პროექტს საფუძვლად უდევს მე-19 საუკუნის თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენებული გერმანული დასახლების «თბილისის კოლონიის» ისტორია. პროექტის მიზანია ამ დასახლების არქიტექტურული ძეგლების, მათთან დაკავშირებული ისტორიების მოპოვება და მათი წარდგენა საზოგადოების წინაშე. ეს შენობები - მათი ერთი ნაწილი მოქმედი საზოგადოებრივი ნაგებობებია - ქალაქის იერსახის, მისი იდენტობის ნაწილია და არ უნდა დაექვემდებაროს მივიწყებას, მითუმეტეს, როცა მათი შექმნის ისტორია უშუალოდ ევროპული კულტურის ფასეულობებს ემყარება.

ყოფილი «გრაფ ოლდენბურგის სასახლე» 1895 წელს აშენდა. მოგვიანებით აქ «სათეატრო მუზეუმი» იხსნება, რომელიც დღეს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმია. თავად შენობის ისტორია მე-20 საუკუნის დასაწყისის ეპოქასთან მჭიდრო კავშირშია იმდენად, რამდენადაც ეს ეპოქა გერმანიას, საქართველოს და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობების განახლების პერიოდია.


«გრაფ ოლდენბურგის სასახლის» პირველი დამკვეთი, დიდგვაროვანი ავსტრიელი ქალბატონი, ვინმე ემილია ტიტელი უნდა იყოს. ცნობილია, რომ ეს სასახლე გერმანელი ოლდენბურგების შთამომავალმა, გრაფმა კონსტანტინე ოლდენბურგმა თავისი შეყვარებულისათვის, აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანისათვის შეიძინა, რომელთანაც შემდგომში იქორწინა. იმ ფაქტს, რომ გრაფი ოლდენბურგი მეუღლესთან დაშვილებთან ერთად აქ სიცოცხლის ბოლომდე (1906) ცხოვრობდა, მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია ადასტურებს.

ამ ნეოგოთიკური შენობის ავტორი თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი (წარმომავლობით ებრაელი) პაულ შტერნია, რომლის ერთ დროს საკუთარი სახლი დღესაც დგას აღმაშენებლის გამზირზე. პაულ შტერნი იმ ადამიანებს განეკუთვნება, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის კულტურულ სივრცეში დამკვიდრებას ცდილობდნენ. მისი თბილისში მოღვაწეობა 1870-იანი წლებიდან იწყება, როცა ის ოპერის მშენებლობის ხელმძღვანელი ხდება. შტერნის დაბადება - გარდაცვალების წლები უცნობია, არ არსებობს ცნობები მის ცხოვრებაზე, თუმცა იგი თბილისში ისეთი ცნობილი შენობების ავტორად გვევლინება, როგორიცაა ქალაქის საკრებულო თავისუფლების მოედანზე და აბრეშუმის მუზეუმი «მუშტიადის» ბაღთან. გამოფენა გაგრძელდება 30 ნოემბრამდე. 24 საათი

EN ESPAÑOL  OUT JUNE 25

TBC STATUS Personal Banking

Tbilisi Jazz Festival 28 OCT - 1 NOV 2013

TbilisiJazz.com  /TbilisiJazzFestival

PURCHASE TICKETS AT TBILISI CONCERT HALL'S BOX OFFICE, ONLINE AT WEBSITE BILETEBI.GE. MORE INFO BY PHONE AT 2990599

დედა სანადის 16 ამერიკული ქულა

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მსგავსად, წინასასეზონო, საგამოფენო მატჩები სტუდენტურ ლიგაშიც იმართება. სანამ NCAA-ს ჩემპიონატი დაიწყებოდეს, სტუდენტური გუნდები ერთმანეთთან ბოლო მზადებას გადიან. დედა სანადის „სანდიეგო ტორეროსმა“ ამხანაგურ მატჩში კალიფორნიულ „მონტერეი ბეის“ 90:81 მოუგო.

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა სანდიეგოელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო. სანადიე სუთელში არ ყოფილა, მოედანზე 23 წუთი გაატარა და 16 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი და 1 დაფარება მიიღო. დედამ 14-დან 7 ორულიანი და 5-დან 2 სამიანი ჩააგდო. მეორე მეოთხედის დასაწყისში „სან დიეგო“ 17 ქულით აგებდა, მაგრამ თამაში გამოსწორდა და მესამე პერიოდში სანადის სამიანი ანგარიში გაათანაბრა - 55:55.

ამით „ტორეროსმა“ გატეხა მონტერეიელები და გამარჯვებას მიაღწია. სანდიეგოელთა გუნდში 28 ქულით ბომბარდირი გახდა ჯონი დი, რომლის შემდეგ საუკეთესო იყო სანადის მონაგარი. სეზონის გახსნის მატჩში, მონტერეს, „სან დიეგო“ სამხრეთ დაკოტას უნივერსიტეტს დაუპირისპირდება.

ჭაბუკები ევროპირველობისთვის ემზადებიან. ახალკაცი კი მთავარი მსაჭია

რუსეთის ქალაქი ანაპა ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს (8-17 ნოემბერი) უმასპინძლებს. ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ, ევროპის კრივის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, ტურნირის მთავარი მსაჭი საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი იქნება.

ახალკაცის მთავარ მსაჯად აყვანის ინფორმაცია საქართველოს კრივის ფედერაციამ წერილობით 29 ოქტომბერს შეიტყო.

...საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები კუკური შავგულიძის მეთვალყურეობით ევროპირველობისთვის დასკვნით მოსამზადებელ შეკრებას ქუთაისში გადის. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ოპტიმალური შემადგენლობით გაემგზავრება.

პოდოლსკი „არსენალს“ უბრუნდება

გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა ლუკას პოდოლსკიმ ტრავმა მოიშუშა და თამაშს მონაგრებულ თამაშს ეშურება: „როგორც იქნა, ეს დროც დადგა - მოედანს ვუბრუნდები“.

...პოდოლსკი „ფენერბახჩესთან“ უფასო ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაშავდა და თითქმის ათი კვირა ბურთს არ გაჰკარებია. გუშინ პირველად ივარჯიშა და იმედი აქვს, რომ უახლოეს ტურში თამაშის საშუალება მიეცემა.

მადრიდის „რეალი“ სუარესის გადასაბირებლად 20 მილიონსა და ბენზემას ელევა

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა «ლივერპულის» ურუგვაელი ლეგიონერით რომ სერიოზულადაა დაინტერესებული, ეს ძველი ამბავია. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის თანახმად, სამეფო კლუბი „ლივერპულისთვის“ ურუგვაელი თავდამსხმელის სანაცვლოდ ახალ შეთავაზებას ამზადებს. წყაროს ცნობით, „რეალი“ მზადაა ზამთრის სატრანსფერო სეზონზე სუარესი 20 მილიონ ევროდ შეიძინოს და ამ თანხად ფრანგი თავდამსხმელი კარმ ბენზემაც დათმოს.

...მადრიდელებმა სუარესის შექენა გასულ ზაფხულსაც სცადეს, მაგრამ ტრანსფერი არ გამოვიდა. ურუგვაელის ხელში ჩასაგდებად, რომელიც, სხვათა შორის, „ოქროს ბურთის“ ერთ-ერთი პრეტენდენტია, ლონდონის „არსენალიც“ იბრძვის.

იაია ტურე: «ესპანეთი მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფავორიტია»

კოტ დ'ივუარის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველს იაია ტურეს სურს, რომ ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში აფრიკის ნაკრები გავიდეს. ამბობს, რომ ამ ეტაპზე გასვლა აფრიკისთვის კარგი შედეგი იქნება.

„იმედია, მუნდიალის ნახევარფინალში ერთ-ერთი აფრიკული გუნდიც ვაგა. ვფიქრობ, ეს ჩვენი კონტინენტისთვის კარგი შედეგი იქნება, - ესპანურ „მარკასთან“ საუბარში აცხადებს ტურე. - ჩემპიონატის მთავარი კანდიდატი კი ესპანეთი მგონია, სადაც მრავლად არიან ფეხბურთის დიდოსტატები, მერე კი - ბრაზილიას. კონფედერაციათა თასის ფინალში სწორედ მათ ითამაშეს. მართალია, ბრაზილიელებმა 3:0 მოიგეს, მაგრამ არა მგონია, ეს ძალების რეალური თანაფარდობა იყოს. იმ მატჩის შედეგი, საეარაუდოდ, მომქანცველმა სეზონმაც განაპირობა“.

კოტ დ'ივუარის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური ჯერ არ გაუნაღდება. ბრაზილიის საგზურისთვის ბრძოლა 16 ნოემბერს, ფლეი ოფის საპასუხო მატჩში სენეგალთან უნებს, რომელსაც პირველ მატჩში თავის მოედანზე 3:1 მოუგო.

ქართველი ძალოსნები დოპინგ პარში გახვივნენ

პირველი გვარდიან

ვროცლავის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიც უნდა გამოსულიყო, მაგრამ გაირკვა, რომ გუნდი ფიცარნავს არ გაჰკარებია.

მეტიც, საქართველოს ნაკრები პოლონეთში არც გამგზავრებულა იმ მიზეზით, რომ დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა. დღეს კი იმ ძალოსანთა ვინაობა გაირკვა, ვისაც ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის. სოლიდური ფულადი ჯარიმა დაეკისრება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციასაც, რომელიც პასუხისმგებელია ყველაფერ ამაზე. საუბარია რაულ ცირეკიძესა (85 კგ.) და დავით გოგიაზე (105 კგ.), რომლებმაც წლეულს, გაზაფხულზე, ევროპის ჩემპიონატზე, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელის, პავლე კასრადის განცხადებით, დოპინგ-ტესტმა სწორედ მათ შემთხვევაში აჩვენა დადებითი შედეგი.

საუბარია ნაკრების კიდევ ორ წევრზე, თუმცა, იქ ჯერ ყველაფერი გარკვეული არ არის.

პოლონური ინტერნეტგამოცემა polska-sztanga 22 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ საქართველომ და ტუნისმა დოპინგის გამო ვერ მიიღეს მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა, თუმცა, საქართველოს ნაკრების წევრთა გვარები არ დაუსახელებია.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია ჯერჯერობით ოფიციალური განცხადებისგან თავს იკავებს. ამის მიზეზი ფედერაციის პრეზიდენტ დავით ბეჟუაშვილის საზღვარგარეთ ყოფნაა.



გოგის ევროპულ ბრინჯაოს დოპინგს მიაწერენ

საკითხს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც გამოეხმაურა:

„რა თქმა უნდა, საქმის კურსში ვართ, მაგრამ ჯერ ფედერაციისგან ოფიციალური ინფორმაცია არ მივიღია. მას შემდეგ, რაც მომხდარის შესახებ დაზუსტებით შევიტყობთ, ქმედით ნაბიჯებს გადავდგამთ.“

ყველა სათანადოდ დაისჯება, ვისაც აკრძალული პრეპარატების მიღებაში ბრალი მიუძღვის».

რაც შეეხება თავად სპორტსმენებს, რაულ ცირეკიძის განმარტებით, აკრძალული პრეპარატის გამოხმუნდა მიღებაზე საუბარი ზედმეტია.

დოპინგის მიღებაში მხილებულს უფლება აქვს ტესტირე-

ბის შედეგი გაასაჩივროს და განმეორებითი ტესტირება მოითხოვოს. თუ ისევ დადებითი შედეგი აღმოჩნდა, მაშინ დისკვალიფიკაცია გარდაუვალია.

ცირეკიძე და გოგია ახლა სწორედ ამ უფლების გამოყენებას შეეცდებიან. დამატებითი გამოკვლევა ქალაქ კიოლის ლაბორატორიაში ჩატარდება.

ბოლო წუთზე გამოცხვარი სენსაცია

ირაკლი გობჯაძე

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის განმეორებითი შეხვედრები გაიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის „დინამოს“ მოგება არ გასჭირვებია, „ვლადი-ატორებმა“ ხობის „კოლხეთი“ ერთი ამოსუთქვეით, 6:0 დაამარცხეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის პირველი მატჩი „დინამოს“ გამარჯვებით - 9:0 დასრულდა. დუშან უპირინის შეგირდებმა, საერთო ჯამში, მეტოქე 15:0 დაამარცხეს. შემდეგ ეტაპზე გასვლა არც საჩხერის „ჩიხურას“ გასჭირვებია. სამსონ ფრუიძის განვრთნილმა გუნდმა თბილისის „ლოკომოტივს“ 4:0 მოუგო და საერთო ჯამში 7:0 დაამარცხა. მეოთხედფინალში გავიდა რუსთავის „მეტალურგიც“. რუსთაველებს პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე 2:0 ჰქონდათ მოგებული, განმეორებითი შეხვედრა კი 1:3 დასრულდა. თამაშის მე-9 წუთზე ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. თერთმეტმეტრიანი გოგონაიამ ზუსტად შეასრულა და თავისი გუნდი დაანინაურა, მაგრამ რუსთავე-

ლები მალე მოეგნენ გონს, მატჩის 31-ე და 36-ე წუთებზე მეტოქეს ორი გოლი გაუტანეს და პირველი ტაიმი სასურველი შედეგით დაასრულეს. გოლები დავით კირკიტაძის და ირაკლი სისხარულიძის ანგარიშზეა. „მეტალურგი“ ამაზე არ გარეგებულა და შეხვედრის 73-ე წუთზე გიორგი ბერიაშვილმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა - 1:3. საინტერესოდ წარიმართა მოვლენები „ბენდელას“ სახელობის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ცხინვალის „სპარტაკი“ და ქუთაისის „ტორპედო“. ამ გუნდებს შორის პირველი შეხვედრა ქუთაისში ყველასთვის მოულოდნელად 2:2 დასრულდა და ცხინვალელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მიეცათ. რაც შეეხება განმეორებით მატჩს, ის დრამატულად წარიმართა. წესით, ხეარად სარაგოსას შეგირდებს უმაღლესი ლიგის აუტსაიდერის დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ვლადიმერ ხაჩიძის ფეხბურთელებმა „ტორპედოს“ დიდი ბრძოლა გაუმართეს და ძირითადი დრო 2:2 დაასრულეს. ანგარიში მასპინძლებმა მე-4 წუთზე თორნიკე თუხარელის გოლით გახსნეს. მე-20 წუთზე ქუთაისელებმა ანგარიში მეტოქე გუნდის ფეხბურთელის, ნიკა კვეცივესკირის ავ-

ტოგოლით გაათანაბრეს. შეხვედრის 66-ე წუთზე „სპარტაკის“ ფეხბურთელმა, თეიმურაზ შონიამ, თავისი გუნდი წინ გაიყვანა - 2:1, მაგრამ 13 წუთში „ტორპედომ“ ისევ შეძლო ნონანსნორობის აღდგენა. ბურთი ნიკა ახვლედიანის ანგარიშზეა - 2:2. დარჩენილ დროში აღარაფერი შეცვლილა. დაინიშნა დამატებითი დრო. გუნდები ფრთხილობდნენ და დიდი ძალებით არ გადადიოდნენ შეტევაზე, რადგან ერთი შეცდომაც კი შეიძლება დამლუპველი ყოფილიყო. მატჩის დამატებით დროში ასე თუ ისე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და დაინიშნა საფეხბურთო ლარატია - თერთმეტმეტრიანები. ანგარიში 5:6 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ცხინვალის „სპარტაკს“ ერთი ნაბიჯი დააკლდა სენსაციის გამოცხობამდე. შემდეგ ეტაპზე გავიდა გორის „დილატ“. გორელებმა პირველი მატჩი 1:0 მოიგეს, ხოლო მეორე 1:2 წააგეს. სტუმრად გატანილი ბურთის წყალობით მათ მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს. შემდეგ ეტაპზე მარტვილის „მერანიც“. პირველი შეხვედრა მათ 2:1 ჰქონდათ მოგებული, საპასუხო მატჩი კი 1:1 დასრულდა. ყველაზე დიდი სენსა-

ცია კი მცხეთაში, „მცხეთა პარკის“ სტადიონზე მოხდა, სადაც თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და ქობულეთის „შუქურა“ ხედებოდნენ ერთმანეთს. ზურაბ ბერიძის განვრთნილ „ვიტ ჯორჯიას“ პირველი მატჩი 1:0 ჰქონდა წაგებული და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მას ორბურთიანი სხვაობით გამარჯვება სჭირდებოდა. მოვლენები დრამატულად განვითარდა: ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს „ვიტ“-ის ფეხბურთელმა ირაკლი ლიბრაძემ გახსნა, ხოლო მატჩის მიწურულს, 93-ე წუთზე, „ვიტ ჯორჯიამ“ მეორეც გაიტანა. გოლი ელგუჯა ლობჟანიძემ გაიტანა. მაგრამ „შუქურამ“ 94-ე წუთზე მოახერხა გოლის გატანა და „ვიტ ჯორჯიას“ ბოლო წამებზე ხელიდან გამოსტაცა მეოთხედფინალის საგზური. ბურთი არჩილ ბაჯელიძის ანგარიშზეა. ბოლო მატჩი ზესტაფონში, ადგილობრივ გუნდსა და ბოლნისის „სიონს“ შორის გაიმართა, რომელიც სტუმრების გამარჯვებით - 0:1 დასრულდა. პირველი შეხვედრა ბოლნისელებს საკუთარ მოედანზე ამავე ანგარიშით ჰქონდათ მოგებული, საერთო ჯამში 0:2 და „სიონი“ შემდეგ ეტაპზეა.